

# MANDATORY SHARE INSTITUTE, AS A STATE INTERVENTION IN THE RIGHT OF INHERITANCE (Comparative legal analysis)

**Mariam Ginturi**

*PhD student of the Law School at Davit Agmashenebeli University of Georgia,  
Substitute of Notary (Georgia)*

Email: [mginturi@gmail.com](mailto:mginturi@gmail.com)

## Abstract

Mandatory share, which is frequently referred to as the obligatory part of coercive inheritance is a legal concept for some jurisdictions, limiting freedom of the individual to manage own assets by his/her testaments.

The specifics of the mandatory share greatly varies between countries and even within different regions or states of the country. In some jurisdictions, the mandatory share may be a fixed percentage of the estate, while in others it may depend on factors such as the number of heirs and their relationship to the deceased.

This article will discuss the conditions for determining the mandatory share, the scope of regulation and ways of confiscating it from a comparative legal point of view. On the example of the law of Georgia and several countries, the essence of the Mandatory Share as a limiting lever of the last will of the successor will be understood from the side of the state, the scope of its intervention on the example of the law of different countries. The differences in how each country deals specifically with the last wish of the successor according to its political, social or economic development. Also, we cannot ignore the issue of recognition of an unworthy heir, which is the main factor in confiscation of a compulsory share, and it is during its definition that the legislator's will is revealed, how far he looks and protects the successor in the exercise of his constitutional right. Different definitions and scope of regulation of unworthy heirs are covered by all countries. The main difference between Georgian legislation and the law of other countries is the reference to the main motive that can make a person an unworthy heir.

KEYWORDS: will, An unworthy heir, freedom of will, International experience

## შესავალი

სავალდებულო წილი, როგორც მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების, აგრეთვე, საკუთრების უფლების შემზღუდველი ბერკეტი, დიდხნიან სამართლებრივ ისტორიას მოიცავს. ზღვარი მამკვიდრებლის ნების ავტონომიას, საკუთრების უფლების გარანტიასა და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას შორის, რომელიც სავალდებულო ინსტრუმენტით ებრძვის მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების განხორციელებას, ყველა ქვეყნის სამართლებრივ ისტორიაში სხვადასხვანაირად რეგულირდება. ყურადსაღებია, სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლი,<sup>1</sup> რომელიც მხოლოდ საერთო წესით მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაზე მიუთითებს, ან მამკვიდრებლის მხრიდან სასამართლოში მიმართვის გზით არეგულირებს ამ საკითხს, რომელიც პრაქტიკაში შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არ მუშაობს. მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება, ანდერძი, რომელიც ცალმხრივ გარეგნად მიიჩნევა, არ შეიძლება მოითხოვდეს პოტენციური მემკვიდრის ჩართულობას, რომელსაც უნდა ედაოს მამკვიდრებელი სიცოცხლეში იმაზე მითითებით, რომ მემკვიდრემ დაარღვია მამკვიდრებლის წინაშე ის ფუნდამენტური უფლებები, რომელიც მას მემკვიდრეობის უფლებას ანიჭებდა, მიჩნეულ იქნას უღირს მემკვიდრედ მისივე სიცოცხლეში და ამით მიიღოს მამკვიდრებელმა გარანტია მისი უკანასკნელი ნების სისრულეში მოყვანისა. ამით აბსოლუტურად ირღვე-

ვა ანდერძის მთავარი არსი და მნიშვნელობა, იყოს ის კონფიდენციალური და დაცული ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ იქნება საჯარო დაინტერესებული პირებისათვის. ნიშანდობლივია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1375-ე მუხლი, სადაც განხილულია მამკვიდრებლის მიერ მისი პოტენციური მემკვიდრისთვის იმ ქონების ნაწილის ჩათვლა სამკვიდრო მასაში, რომელიც იგი მიიღო მან, იმაზე აპელირებით, რომ აღნიშნული შევიდოდა სავალდებულო წილში.<sup>2</sup> ამ ჩანაწერთაც ვლინდება კანონმდებლის ნება, დაიცვას ყველა მემკვიდრე, რომელიც სავალდებულო წილის მიმღებია, თანაბრად მიიღოს და გაიზიაროს მამკვიდრებლის ქონება. აგრეთვე 1378-ე მუხლი, რომლითაც პირდაპირი ჩარევა ხდება მამკვიდრებლის უკანასკნელ ნებაში, მან მისივე სიცოცხლეში გადაწყვიტოს ვის აჩუქოს ქონება, იქნეს გათვალისწინებული სამკვიდრო მასის წილში თუ გაჩუქებული ნივთი შედის სამკვიდრო მასაში.<sup>3</sup> აქ მხოლოდ ერთი დათქმით აძლევს ნების გამოვლენის თავისუფლებას მამკვიდრებელს, რომ, თუ ჩუქების ხელშეკრულებიდან გასულია 10 წელზე მეტი, მაშინ აღნიშნულის გათვალისწინება აღარ მოხდეს სავალდებულო წილის მასაში. რაოდენ დიდია კანონმდებლის ჩარევის ფარგლები, ეს ცალსახად ჩანს ზემოთ განხილული მუხლების გათვალისწინებით, როდესაც მაქსიმალურად ცდილობს კანონმდებელი დაიცვას უშუალოდ კანონისმიერი მემკვიდრის უფლება, არ დაჩუქოს სამკვიდრო ქონების მიღმა, მიიღოს ყველა ის ქონებრივი უფლება, რომელიც

1 შეადარე. 1381-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

2 შეადარე. 1375-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

3 შეადარე. 1378-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

მათ შორის მამკვიდრებელმა სიცოცხლე-შივე გაანაწილა, გააჩუქა მესამე პირზე. 1371-ე მუხლის შესაბამისად, სავალდებულო წილი განიმარტება შემდეგნაირად: მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა<sup>4</sup>. ამ განმარტებით, კანონმდებელი კი იბოჭება გარკვეულწილად, ცდილობს მაქსიმალურად არ შეზღუდოს მამკვიდრებლის საკუთრების უფლება, მისი უკანასკნელი ნების თავისუფლება და მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრეთა წრიდან გვთავაზობს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელმაც უნდა მიიღოს სავალდებულო წილი და თან იმ დათქმით, რომ ეს უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რომელსაც ისინი მიიღებდნენ, რომ არ ყოფილიყო ანდერძი, მაგრამ აგრეთვე ითვალისწინებს სავალდებულო წილის მემკვიდრეობით გადასვლის უფლების შესაძლებლობას.<sup>5</sup> ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი საკანონმდებლო შინაარსის გათვალისწინებით, ვლინდება დარღვეული ბალანსის გამოხატულება კანონმემოქმედის მხრიდან, რომელიც თან ცდილობს, მემკვიდრეს მიუთითოს სავალდებულო წილში ჩათვალის ყველაფერი, რაც მან მამკვიდრებლისგან მიიღო იმაზე აქცენტით, რომ იგი შევიდოდა სავალდებულო წილში, თან ავალდებულებს თავად მამკვიდრებელს 10 წლამდე გაჩუქებული ნივთის სავალდებულო წილში შეყვანაზე, მაშინ, როდესაც პირველი რიგით გათვალისწინებული კანონისმიერი მემკვიდრეები, რომლებიც სავალდებულო წილის მიღების რიგში დგანან, ისედაც იღებენ იმ წილის ნახევარს, რომელსაც მიიღებდნენ ანდერძი მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება რომ არ ყოფილიყო.

4 შეადარე. იქვე. მუხლი 1371.

5 შეადარე. იქვე. მუხლი 1372.

მნიშვნელოვანია აგრეთვე იმ სხვაობის ხაზგასმა, რასაც უღირსი მემკვიდრის დეფინიცია იწვევს ქართული კანონმდებლობისა და უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების შეჯერების შემდეგ. იმდენად დავიწროვებული, მცირე მნიშვნელობით არის ქართულ კანონმდებლობაში უღირსი მემკვიდრის დეფინიცია წარმოდგენილი, რომ კითხვა ჩნდება, ხომ არ ხდება ამით მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების ფარგლების შევიწროვება და სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბის ზრდა იმ გაგებით, რომ რაც მწირია კანონმდებლის შემზღუდველი ბერკეტი, მით მეტია სავალდებულო წილის მქონე მემკვიდრის უფლების ზრდა.

ასე რომ, სავალდებულო წილის პროპორციებზე, მისი გადანაწილების წესზე, აღნიშნული უფლების ჩამორთმევასა თუ ზოგადად, მისი ბუნების დასადგენად, სტატიაში განხილული იქნება შვეიცარიის, აგრეთვე, ნიდერლანდების, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსები, დადგინდება კანონმდებლის ზოგადი ნების გამოხატულება სავალდებულო წილთან მიმართებაში. კანონმდებლები მესაკუთრის ნების თავისუფლებისადმი პატივისცემის მიუხედავად, განკარგოს თავისი ქონება, საჭიროდ მიიჩნევენ თვითნებობისთვის გარკვეული ფარგლების დადგენას, რათა ზღვარგადასული უფლება არ გახდეს ამ უფლების ბოროტად გამოყენების საფუძველი. ყველა ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით, ამ ნების რეგულირება სხვადასხვანაირად ხდება. განხილული იქნება შემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მაგალითზე ვინ არიან სავალდებულო წილის მიმღები პირები, რა წილს ითვალისწინებს კანონმდებლობა მათთვის დანაშთი ქონებიდან, რა შემთხვევაში ერთმევათ სავალდებულო წილის უფლება და ასე შემდეგ.

მემკვიდრეობის ცნება უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და სამართლის საბოლოო ჩამოყალიბებამდე გაჩნდა.<sup>6</sup> წარმოუდგენელია ვისაუბროთ მემკვიდრეობის უფლებაზე და არ შევხვით რომის სამართალს, რომლის მიხედვითაც ანდერძს „ტესტამენტუმი“ ეწოდება და იგი ნების, მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების დამოწმებას ნიშნავს.<sup>7</sup> რომაელი ისტორიკოსები მემკვიდრეობის უფლებას შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „ არავინ არ ტოვებს იმაზე მეტ სიკეთეს თავის შემდეგ, ვიდრე მას ჰქონდა“. <sup>8</sup> ამ ჩანაწერთაც მარტივი მისახვედრია, თუ როგორი იყო ისტორიკოსების დამოკიდებულება საანდერძო უკანასკნელ ნებაზე, რომელიც უპირატეს უფლებად წარმოედგინათ და ამაზე მეტი სიკეთის დატოვების შესაძლებლობას ამ სამყაროში სხვას ვერაფერს უტოლებდნენ.

იუსტინიანეს ინსტიტუციების (ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I-ის (526-565 წწ.) დროს შედგენილი სამართლებრივი ძეგლი, რომელშიც მოცემულია ცნებები მემკვიდრეობის მიხედვით, ანდერძი შეიძლება ყოფილიყო ორი სახით: პირობით ან პირობის გარეშე. წილები მემკვიდრეებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოანდერძე წილებს თავად მიუთითებდა, თუ რომელიმე მემკვიდრე წილის მიუთითებლად იყო დასახელებული, იგი იმ წილს მიიღებდა, რომელიც სამკვიდროდან გაყოფის შემდეგ რაიმე წილი დარჩებოდა. თუ სამკვიდრო მთლიანად განაწილებული იყო, წილის მიუთითებლად

დასახელებული პირები სამკვიდროს ნახევარს ღებულობდნენ, წილის მიუთითებლად დასახელებული პირები კი – მეორე ნახევარს და მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რომელი მემკვიდრე იყო დასახელებული წილის მიუთითებლად. თუ სამკვიდროს რაღაც ნაწილი თავისუფალი რჩებოდა, მას თითოეული მემკვიდრე ანდერძში მიუთითებულ სამკვიდრო წილის პროპორციულად ღებულობდა, ხოლო, თუ პირიქით – მემკვიდრე უფრო მეტი იყო, ვიდრე ნაანდერძევი ქონება, თითოეულ დანიშნულ მემკვიდრეს წილი შეუმცირდება, მაგალითად, თუ სამ ნაწილად გაყოფილ სამკვიდროზე იყო ოთხი მემკვიდრე, მაშინ ითვლებოდა, რომ თითოეული მემკვიდრე სამკვიდროს ერთ მეოთხედს მიიღებდა.<sup>9</sup>

სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს ჯერ კიდევ რომის სამართალი ადგენდა. რომის სამართალი ასევე განსაზღვრავდა მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის ოდენობას. ამ შემთხვევაში იგი უდრიდა იმ წილის მეოთხედს, რაც უნდა მიეღო კანონით მემკვიდრეობისას. ისტორიული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ კანონმდებელი ადგენდა რა საანდერძო განკარგულების თავისუფლებას, აქვე ზღუდავდა მას სავალდებულო წილის დაწესებით.<sup>10</sup> როგორც ჩანს, მამკვიდრებლის ნების შეზღუდვა ძველი რომიდან მომდინარეობს და სულაც არ არის ახალი ინსტიტუტი, რომელიც განსხვავებულ წესს მოიაზრებს. თუმცა, განსხვავებულია დროთა განმავლობაში, სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარე-

6 შეადარე. ნადარეიშვილი, გ., 2008. რომის სამოქალაქო სამართალი. თბილისი: გვ. 148.

7 შეადარე. ბერიკაშვილი, დ., 2010. სადოქტორო დისერტაცია: სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 10-11.

8 შეადარე. ლობჯანიძე, გ., 2009. რომის სახელმწიფო და სამართალი. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, გვ. 97.

9 შეადარე. სურგულაძე, ნ., 2002. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები. თბილისი: გვ. 98.

10 შეადარე. მეტრეველი, ვ., 2009. რომის სამართალი. თბილისი: გვ. 108.

ბის შესაბამისად სავალდებულო წილის მქონე მემკვიდრეების პირთა ჩამონათვალი, მათი წილის პროპორცია, ჩამორთმევის საფუძველი და სხვა.<sup>11</sup>

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის სამემკვიდრეო სამართლის მიხედვით ქმედუნარიანი პირი, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, უფლებამოსილია, კანონისმიერი შეზღუდვებისა და ფორმების გათვალისწინებით მოახდინოს თავისი ქონების ანდერძით განკარგვა.<sup>12</sup> რაც შეეხება 470-ე მუხლის ჩანაწერს, ის განმარტავს სავალდებულო წილს შემდეგნაირად: პირს, რომელიც ტოვებს შთამომავლებს, მშობლებს, მეუღლეს ან რეგისტრირებულ პარტნიორს, შეუძლია ანდერძით განკარგოს თავისი ქონება იმ ფარგლებში, რაც აღემატება ამ პირთა კუთვნილ სავალდებულო წილის ოდენობას. ანუ, აქ პირდაპირ უზღუდავს კანონმდებელი ნების ავტონომიას და მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ გათვალისწინებული უნდა იყოს სავალდებულო წილის ოდენობა და რაც დარჩება ამ ქონების მიღმა, მხოლოდ მისი ავტონომიური ნების საფუძველზე განკარგვა შეუძლია მემკვიდრეებს. საინტერესოა, აგრეთვე, სავალდებულო წილთა განსაზღვრა შვეიცარიის კანონმდებლობის შესაბამისად. შვეიცარიის 471-ე მუხლის შესაბამისად სავალდებულო წილი შეადგენს: 1. შთამომავლისათვის – კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მისაღები სამკვიდროს სამ მეოთხედ ნაწილს; 2. თითოეული მშობლისათვის – ნახევარს; 3. ცოცხლად დარჩენილი მეუღლისათვის, რეგისტრირებული პარტნიორისათვის – ნახევარს. ამ ჩანაწერით დგინდება, რომ მშობელი და ცოცხლად დარჩენილი მეუღლე/პარტნიორი არიან პრიორიტეტული

მემკვიდრეები, მათთვის წილის ნახევარი განისაზღვრა, ხოლო შთამომავლებისთვის, რომლებიც შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 457-ე მუხლის მიხედვით მემკვიდრეობის უახლოეს მემკვიდრეებს წარმოადგენენ, სამკვიდრო წილის მეოთხედს იღებენ. უახლოესი შთამომავლის ცნება ცალკე განხილვის საკითხია, თუმცადა ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებული, რადგან პირველი რიგის მემკვიდრე მხოლოდ მშობლები, მეუღლე და შვილები არიან, აქ მსგავსი ჩანაწერი არ მოიპოვება, მხოლოდ უახლოეს ნათესავზეა ხაზგასმული კანონის ჩანაწერი.

რაც შეეხება ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსს, იგი ცნობს სავალდებულო წილს და ამბობს, რომ სავალდებულო მემკვიდრის სავალდებულო წილი წარმოადგენს მოანდერძის სამკვიდროს ღირებულების იმ ნაწილს, რომლის მიმართაც სავალდებულო მემკვიდრეს შეუძლია ჰქონდეს პრეტენზია, მიუხედავად მოანდერძის მიერ ანდერძით გაკეთებული საანდერძო განკარგულებისა და თავისი სიცოცხლის მანძილზე განხორციელებული ნაჩუქრობებისა. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებით გამოარჩევს ნაჩუქარი ქონების წილის გამოყოფას სამემკვიდრეო მასიდან, ასევე სავალდებულო წილიდან. საყურადღებოა, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად უღირსი მემკვიდრის განმარტება, რომელიც მოიცავს იმ პირს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის სიცოცხლის ხელყოფისათვის, მკვლელობის მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, აგრეთვე, იმ პირს, რომელიც

11 Malaurie, Ph., 2008. Aynés L. Droit civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois, გვ. 138.

12 ქეჭელაშვილი, ზ., „რედ.“, 2018. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://notary.ge/res/docs/gare/Swiss\\_Civil\\_%20Code.pdf](https://notary.ge/res/docs/gare/Swiss_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის, მისი მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით. ასევე, იმ პირს, რომლის მიმართაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მან გარდაცვლილ პირს ცილისმწამებლურად დასდო ბრალი იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით და კიდევ მრავალი.<sup>13</sup> აქ გასათვალისწინებელია, როგორც უღირსი მემკვიდრის სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესაძლებლობა, თუ როგორ ფართოდაა განმარტებული ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ეს ჩანაწერები მაქსიმალურად იცავს მამკვიდრებლის ნებას, რომ, თუ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილთაგან მოხდა მემკვიდრის მხრიდან, ის სამუდამოდ დაკარგავს მემკვიდრეობის უფლებას. რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ საანდერძო დანაკისრთან, მამკვიდრებლის უკანასკნელ ნებასთან შეუსაბამობაში მოსვლას გულისხმობს, საკმაოდ ფართო

და ყოვლისმომცველ დანაწესებს ითვალისწინებს და ამით მაქსიმალურად იცავს მამკვიდრებლის ინტერესს.<sup>14</sup>

სავალდებულო წილის ჩამორთმევას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლი,<sup>15</sup> რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ საერთოდ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას რაც იწვევს, ის შეიძლება გახდეს სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლებაც. ანუ, კანონმდებელი მიანიშნებს უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტზე, რომელიც სსკ-ს 1310-ე მუხლის<sup>16</sup> შესაბამისად არის პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიღინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ.<sup>17</sup> აქ ცალსახად ჩანს კანონმდებლის ნება, თუ რა კრიტერიუმები შეიძლება არსებობდეს იმისათვის, რომ პირი უღირს მემკვიდრედ იქნეს ცნობილი. ესაა ისეთი ქმედებები, რომლებიც უშუალოდ მოანდერძის ნების საწინააღმდეგო ქმედებაზე უნდა იყოს მიმართული, რათა არ აღსრულდეს მისი უკანასკნელი ნება.

საყურადღებოა, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად უღი-

13 შეადარე. ქეჭელაშვილი, ზ., „რედ., 2021. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch\\_Civil\\_%20Code.pdf](https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

14 ქანტურია, ლ., 2009. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი მეხუთე. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_1\\_Book.pdf](https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_1_Book.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

15 შეადარე. მუხლი 1381, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

16 შეადარე. იქვე. მუხლი 1310.

17 Hovasse-Banget, S., 1990. La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. Rennes I. გვ. 91.

რსი მემკვიდრის განმარტება, რომელიც მოიცავს იმ პირს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის სიცოცხლის ხელყოფისათვის, მკვლელობის მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, აგრეთვე, იმ პირს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გასამართლებულ იქნა გარდაცვლილის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის, მისი მცდელობისათვის ან ასეთი დანაშაულის მომზადებისა თუ მასში თანამონაწილეობისათვის, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით. ასევე, იმ პირს, რომლის მიმართაც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მან გარდაცვლილ პირს ცილისმწამებლურად დასდო ბრალი იმ დანაშაულის ჩადენაში, რომლისათვისაც ჰოლანდიური სამართლის თანახმად მაქსიმალური სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, სულ ცოტა, ოთხი წლის ვადით და კიდევ მრავალი. აქ გასათვალისწინებელია, როგორც უღირსი მემკვიდრის სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესაძლებლობა, თუ როგორ ფართოდაა განმარტებული ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. ეს ჩანაწერები მაქსიმალურად იცავს მამკვიდრებლის ნებას, რომ, თუ რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილიდან მოხდა მემკვიდრის მხრიდან, ის სამუდამოდ დაკარგავს მემკვიდრეობის უფლებას. რაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ძალიან მწირედ

და არასაკმარისად გამოიყურება. მით უფრო, ქართული სასამართლო პრაქტიკაც არსებობს იმაზე, რომ მამის მკვლელი შვილი არ იქნა უღირს მემკვიდრედ ცნობილი იმ მიზეზით, რომ სამოქალაქო კოდექსის უღირსი მემკვიდრის ჩანაწერი მამკვიდრებლის უკანაცხელი ნების გამოხატვას უნდა ეწინააღმდეგებოდეს და ეს მკვლელობა თუ ამ მიზნისკენ არ იყო მიმართული, შესაბამისად, იგი არ იქნება უღირს მემკვიდრედ ცნობილი და მიიღებს გარდაცვლილი მამის სამკვიდრო წილს.<sup>18</sup> რაც შეეხება ბერძნულ კანონმდებლობას, უღირსი მემკვიდრე, რომელიც სავალდებულო წილის მიღების უფლებას კარგავს ამ პროცესში, ითვლება ის პირი, რომელმაც განზრახ მოკლა ან ჰქონდა მცდელობა მოეკლა გარდაცვლილი ან მისი შვილები, დედა, მამა ან მეუღლე. პირი, რომელმაც უსამართლოდ დააბრალა გარდაცვლილს დანაშაული და მისჯილი ჰქონდა ამისათვის სასჯელი. პირი, რომელმაც უკანონოდ განზრახ ხელი შეუშალა გარდაცვლილს, დაეწერა ან გამოეთხოვა საკუთარი ანდერძი. პირი, რომელმაც უკანონოდ და ამორალურად, მოტყუებით უბიძგა ან მუქარით აიძულა გარდაცვლილი დაეწერა ან შეეცვალა ანდერძი და ის პირი, რომელმაც შეცვალა ან მოშალა გარდაცვლილის მიერ დაწერილი ანდერძი.<sup>19</sup> როგორც ჩანს, აქაც ცალსახაა კანონმდებლის ნება, თუ როგორი მრავალმხრივი და ფართო ჩანაწერით იცავს მამკვიდრებლის უკანაცხელ ნებას.

საინტერესოა, რატომ არის ქართული საკანონმდებლო სისტემისთვის ასეთი მწირი განსაზღვრება უღირსი მემკვიდრისა, რომელიც ავტომატურად სავალდებულო წილის მიღების შესაძლებლობასაც

18 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №#ას-1101-1021-2017).

19 საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].

იძლევა.<sup>20</sup> სტატიის მიზანშეწონილია სამი ქვეყნის სამემკვიდრეო სამართალი და ყველა მოიცავს საკმაოდ ვრცელ და ამომწურავ ჩამონათვალს. მსგავსი განმარტება ითვალისწინებს მამკვიდრებლის ინტერესის დაცვას, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1381-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონმდებელი მამკვიდრებელს მის სიცოცხლეშივე სასარჩელო წარმოებას ურჩევს სასამართლოში, ედავოს მის პოტენციურ მემკვიდრესა და მამკვიდრო მასაში შემავალი ქონების მომავალ მესაკუთრეს, თუ რატომ გადაწყვიტა მისთვის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული უფლების შეზღუდვა. ანდერძი, რომელიც თავისი შინაარსით არის ცალმხრივი გარიგება, მისი შედეგის და დამოწმების წესიც ამაზე მიგვანიშნებს, რომ იგი შეიცავს კონფიდენციალურ, სენსიტიურ და გაუმჟღავნებელ ინფორმაციას<sup>21</sup>, როგორც წარმოსადგენია მისი საჯარო განხილვა და სადავო საკითხად სასამართლოში სიცოცხლეშივე წარმოება.

## დასკვნა

სამართლებრივი ურთიერთობები, რომელიც მამკვიდრებლის სიცოცხლეში წარმოიშობა მისი სიკვდილის შემდგომაც არ ქრება უშედეგოდ. მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა, და მას დაბადებიდან გააჩნია. თუ საკუთრება და საკუთრების განკარგვა წარმოადგენს ბუნებითი სამართლის ნაწილს, მაშინ როგორ რეგულირდება მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების განხორციელება და აღსრულება, დაიცვას მის მიერ შექმნილი, შეგროვებული ქონება გარდა-

ცვალების შემდეგაც და მხოლოდ თავად, დამოუკიდებლად განსაზღვროს იმ პირთა წრე, რომელსაც იგი მოისურვებს მემკვიდრეობად. ცალსახაა, რომ სავალდებულო წილი არ არის როგორც ანდერძისმიერი, აგრეთვე კანონისმიერი მემკვიდრეობის ფორმა. იგი ცალკე მდგომი, განსაკუთრებული მემკვიდრეობის ფორმას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, მოთხოვოს მამკვიდრებლის ერთსულოვანი ნება, რომელსაც საპირწონედ უყენებს ოჯახური ფასეულობების და ღირსების საკითხს, არ დარჩენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირველი რიგის მემკვიდრეები ყველანაირი მემკვიდრეობის გარეშე.

სტატიის წერის პროცესში გამოვლინდა უღირსი მემკვიდრის განსაზღვრის პრობლემა, რომლის საერთაშორისო სოსამართლებრივი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სხვა ქვეყნის კანონმდებელი ბევრად ფართოდ და ამომწურავად განიხილავს უღირსი მემკვიდრის ჩამონათვალს, რომელიც პირდაპირ კავშირშია სავალდებულო წილის უფლების ჩამორთმევასთან და საერთოდ ცვლის მემკვიდრეთა წრეს, წილთა გადაანაწილებასა და სხვას. აღნიშნული ინსტიტუტით მაქსიმალურად დაცულია მამკვიდრებლის უკანასკნელი ნება, რომელიც ქართული კანონმდებლობის შესაბამისად მაქსიმალურად შეკვეცილი და ერთხაზოვანი განმარტებით გამოირჩევა (მხოლოდ მამკვიდრებლისთვის საანდერძო დანაკისრთან დაკავშირებულ ხელისშეშლასა და უკანასკნელი ნების ვერ აღსრულების მიზანთან იგივდება). სავალდებულო წილი თავისი არსით არის სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა, ბალანსისა და ოჯახური ღირებულებების

20 შენგელია, რ. და შენგელია, ე., 2019. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი.

21 Bertrand-Mirkovic, A., 2003. La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître). Presses universitaires d'Aix-Marseille.



შენარჩუნების გზა, მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული მამკვიდრებლის ნება და სურვილი. იმის მიუხედავად, რომ ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, მამკვიდრებელმა ანდერძში, მის უკანასკნელ ნებაში მკაფიოდ გამოხატოს მემკვიდრეების შესახებ წყენა, ზუსტი მითითება, რომ არ უნდა კონკრეტული პირები რომ გახდნენ მისი მემკვიდრეები, ამის მიუხედავად, თუ სასამართლოს მიერ აღნიშნული პირები არ იქნებიან უღირს მემკვიდრეებად ცნობილები, ნოტარიუსს არ აქვს უფლება მათ ჩამოართვას სავალდებულო წილის მიღების შესაძლებლობა. აბსურდულია სავალდებულო წილის ჩამორთმევის პირობებში იმის გათვალისწინება, რომ მამკვიდრებელმა სიცოცხლეშივე წამოიწყოს დავა პოტენციური მემკვიდრეების უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ, რადგან მათ მომავალში არ მიიღონ კანონით გათვალისწინებული ქონება. მსგავსი ჩანაწერი გვხვდება სამოქალაქო კოდექსში, სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლების განხორციელებისას. ამ ჩანაწერით კანონმდებელი უარყოფს მთავარს, მამკვიდრებელმა შეინახოს მისი უკანასკნელი ნება საიღუმლოდ. ამ დანაწესით ჩნდება ლოგიკური კითხვა ანდერძის მთავარი შინაარსისა და არსებობის მიზანთან. თუ მოანდერძემ სასამართლოში მის სიცოცხლეშივე იღავა პირის უღირს მემკვიდრედ ცნობაზე, შესაბამისად მიიჩნევა, რომ ანდერძის მთავარი ღირებულება იკარგება და აზრს კარგავს.

როგორც ძველი რომის სამართლიდან მოყოლებული, აგრეთვე, შვეიცარიის, საბერძნეთისა და ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სავალდებულო წილი უამრავ საუკუნეს ითვლის. ეს ინსტიტუცია იმდენადვე ძველია, როგორც მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლება, რათა სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებაში

ნეიტრალიტეტისა და ზოგადად, ზნეობრივი ნორმების შემანარჩუნებელს, არ დაეტოვებინა მამკვიდრებლის უახლოესი ხაზის ნათესავები მინიმალური წილის გარეშე. მნიშვნელოვანია სავალდებულო წილთა გადანაწილების, მიმღებ პირთა სტატისტიკის შესწავლაც. რაც უფრო მეტია საზოგადოებრივი კულტურა, სახელმწიფოს ჩართულობა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში, მით უფრო მეტადაა დაცული ყველა მოქალაქის უფლება და ინტერესი. ამიტომ, სავალდებულო წილი, როგორც სახელმწიფოს შემზღუდველი ბერკეტი, გარკვეულწილად გამართლებული ინსტიტუტია, მიუხედავად მამკვიდრებლის საკუთრების უფლების, ნების თავისუფალი გამოვლენის და მისი აღსრულების პრობლემისა. თუ დაიხვეწება კანონმდებლის ნება უღირსი მემკვიდრის დეფინიციასთან დაკავშირებით, აგრეთვე დაკონკრეტდება სავალდებულო წილის ჩამორთმევის პირობები, ამით მეტად გამყარდება მამკვიდრებლის უკანასკნელი სურვილის აღსრულება და ის სახელმწიფოებრივი ჩარევა, რაც სავალდებულო წილის სახით არსებობს მემკვიდრეობით უფლებაში, იქნება პროპორციული და მიზანშეწონილი.

## ბიბლიოგრაფია:

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერეკაშვილი, დ., 2010. სადოქტორო დისერტაცია: სავალდებულო წილი მემკვიდრეობით სამართალში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ლობჯანიძე, გ., 2009. რომის სახელმწიფო და სამართალი. საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი.
3. ნადარეიშვილი, გ., 2008. რომის სამოქალაქო სამართალი. თბილისი.
4. სურგულაძე, ნ., 2002. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები. თბილისი.
5. შენგელია, რ. და შენგელია, ე., 2019. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი.
6. ჭანტურია, ლ., 2009. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_1\\_Book.pdf](https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_1_Book.pdf)> [წვდომის თარიღი 27.04.2024].
7. ჭაჭელაშვილი, ზ., 2018. შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://notary.ge/res/docs/gare/Swiss\\_Civil\\_%20Code.pdf](https://notary.ge/res/docs/gare/Swiss_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი: 27.04.2024].
8. ჭაჭელაშვილი, ზ., 2017. ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი. თბილისი: შპს სვეტი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch\\_Civil\\_%20Code.pdf](https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch_Civil_%20Code.pdf)> [წვდომის თარიღი: 27.04.2024].
9. საბერძნეთის სამემკვიდრეო საქმისწარმოება. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elegtronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)> [წვდომის თარიღი: 27.04.2024].
10. Bertrand-Mirkovic, A., 2003. La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître), Presses universitaires d'Aix-Marseille.
11. Klingelhöffer, Hans, Dr., Pflichtteilsrecht, 2. 2003. Aufl., 1952 – IV ZR 74/52, BGHZ, 7.
12. MünchKomm-BGB/Lange., 2012. §2311 Rn.2, §2313 Rn.Juris PraxisKommentar BGB, 6. Aufl. 2311.
13. Malaurie, Ph. and Aynés, L., 2012. Droit civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois.
14. Hovasse-Banget, S., 2012. La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. Rennes I.

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია. პარლამენტის უწყებანი, 24/08/1995, #786.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 26/06/1997, # 786.

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ას-1101-1021-2017).

## BIBLIOGRAPHY:

### Used Literature:

1. Berekashvili, D., 2010. Doctoral Dissertation: Mandatory Share in Inheritance Law. Tbilisi state university. (in Georgian).
2. Lobzhanidze, G., 2009. Roman state and law. Publishing house Kutaisi. (in Georgian)
3. Nadareishvili, G., 2008. Roman Civil Law. Tbilisi. (in Georgian)
4. Surguladze, N., 2002. Monuments of Roman Law, Institutions of Justinian. Tbilisi. (in Georgian)
5. Shengelia, R. and Shengelia, E., 2019. Family and inheritance law. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
6. Chanturia, I., 2009. Comment of the civil code of Georgia. Book 5<sup>th</sup>. Georgia. [Online] available at: <[https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil\\_code\\_comm\\_1\\_Book.pdf](https://lawlibrary.info/ge/books/giz2017-ge-civil_code_comm_1_Book.pdf)> [Accessed 27.04.2024] (in Georgian)

7. Chechelashvili, Z., 2018. Civil Code of Switzerland. Tbilisi. Ltd Sveti. [Online] available at: <[https://notary.ge/res/docs/gare/Swiss\\_Civil\\_%20Code.pdf](https://notary.ge/res/docs/gare/Swiss_Civil_%20Code.pdf)> [Accessed 27.04.2024] (in Georgian)
  8. Chechelashvili, Z., 2021. Civil Code of the Netherlands. Tbilisi. Ltd Sveti. [Online] available at: <[https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch\\_Civil\\_%20Code.pdf](https://www.notary.ge/res/docs/gare/Dutch_Civil_%20Code.pdf)> [Accessed 27.04.2024] (in Georgian)
  9. Proceedings of the Inheritance of Greece. [Online] available at: <[https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli\\_biblioteka/saberdznetis\\_memkvidreoba.pdf](https://www.notary.ge/res/docs/sakanonmdeblo/elektronuli_biblioteka/saberdznetis_memkvidreoba.pdf)> [Accessed: 27.04.2024] (in Georgian)
  10. Bertrand-Mirkovic, A., 2003. La notion de personne (Étude visant à clarifier le statut juridique de l'enfant à naître), Presses universitaires d'Aix-Marseille. (in French)
  11. Klingelhöffer, Hans, Dr., Pflichtteilsrecht, 2. 2003. Aufl., 1952 – IV ZR 74/52, BGHZ, 7. (in German)
  12. MünchKomm-BGB/Lange., 2012. §2311 Rn.2, §2313 Rn.Juris PraxisKommentar BGB, 6. Aufl. 2311. (in German)
  13. Malaurie, Ph., Aynés, L., 2012. Droit civil. Les successions. Les libéralités. 3e éd. Defrénois. (in French)
  14. Hovasse-Banget, S., La Propriété littéraire et artistique en droit des successions, thèse. 2012. Rennes I. (in French)
- Normative Materials:**
1. Constitution of Georgia., Parliamentary Gazette, 24/08/1995, #768. (in Georgian)
  2. Civil Code of Georgia. Parliamentary Gazette, 26/06/1997, # 786. (in Georgian)
- Judicial Practice:**
1. Decision of the Supreme Court of Georgia 15 February 2018 (Case No. AS-1101-1021-2017). (in Georgian)